

სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს „საქართველს უნივერსიტეტის“ (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (შემდეგში „ინსტიტუტი“) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებებს და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. ინსტიტუტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
3. ინსტიტუტი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას წარმოადგენს უნივერსიტეტს.
4. ინსტიტუტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები

1. ინსტიტუტის საქმიანობის მიზნებია:
 - ა) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა, მისი განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინაცია;
 - ბ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შიდა (საუნივერსიტეტო) და გარე დაფინანსებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვა და კოორდინაცია;
 - გ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება და ამ მიმართულებით უნივერსიტეტის საქმიანობის კოორდინაცია;
 - დ) უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე/განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მართვის ხელშეწყობა და კოორდინაცია, სამეცნიერო კვლევების სასწავლო პროცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე, ინსტიტუტის ძირითადი ამოცანებია:
 - ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად და მის მხარდასაჭერად საჭირო ინსტრუმენტების/მექანიზმების შემუშავება და მათი განვითარება;

- ბ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვების ეფექტური სისტემის შექმნა და მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- გ) საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ასევე სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ინსტიტუციონალური თანამშრომლობა სამეცნიერო სფეროში;
- დ) კვლევების შედეგების პოპულარიზაციის მიზნით ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია.

მუხლი 3. ინსტიტუტის ფუნქციები

1. ინსტიტუტის ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავება, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და განსავითარებელი სფეროების გამოვლენა შესაბამის სკოლასთან ერთად;
- ბ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/პროექტების ეფექტური და შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა, ადმინისტრირება და ჩატარების ხელშეწყობა (სამეცნიერო გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების/მეცნიერების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.);
- გ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული უნივერსიტეტის პერსონალის მობილობის ხელშეწყობა (საზღვარგარეთ ლექცია-სემინარებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა), სამეცნიერო მივლინებების დაგეგმვა, ინიცირება, მათი დაფინანსების წინადადებების წარდგენა უნივერსიტეტის შესაბამისი ერთეულებისათვის;
- დ) უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მუშაობის კოორდინაცია და მონიტორინგი;
- ე) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა (საუნივერსიტეტო) დაფინანსებასთან დაკავშირებული პროექტების შემუშავება-ინიცირება;

- ვ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიერ უნივერსიტეტის დაფინანსების (შიდა გრანტის) მოსაპოვებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება (პროექტების რეგისტრაცია, საკონკურსო პირობების განსაზღვრა, კონკურსის/შერჩევის ეტაპების ჩატარების ხელშეწყობა, პროექტების შეფასების ინდიკატორების შემუშავება და სხვა);
- ზ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიერ გარე დაფინანსების (გრანტების) მოპოვების ხელშეწყობა, დაფინანსების მოპოვების საკითხებთან დაკავშირებით, კონსულტაციების გაწევა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირებისთვის;
- თ) უნივერსიტეტის ერთეულების მიერ/მათი მონაწილეობით შექმნილი სახელმძღვანელოების გამოცემის მიზანშეწონილობის/საჭიროების საკითხის განხილვა და მათი გამოცემის ინიცირება/ვიზირება;
- ი) საუნივერსიტეტო აკადემიური ჟურნალების რედაქციის საქმიანობის ორგანიზება და კოორდინაცია;
- კ) საუნივერსიტეტო აკადემიურ ჟურნალებსა თუ სხვა საერთაშორისო ჟურნალებში გამოსაცემ სტატიებზე რეკომენდაციების გაცემა;
- ლ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ინფორმაციის ფლობა, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და მართვა;
- მ) სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან (უცხოური უნივერსიტეტები, სამეცნიერო ფონდები, ბიზნეს-სექტორი და სხვა);
- ნ) საერთაშორისო კონგრესების, კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების, გამოფენების ორგანიზება და მათი ჩატარების ხელშეწყობა საქართველოსა და საზღვარგარეთ;
- ო) სამეცნიერო პუბლიკაციებისათვის პრემიის გაცემისა და ჟურნალის შერჩევის პირობების განსაზღვრა დანართი N1-ის შესაბამისად.
- პ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ინიცირება/განხილვა/გადაწყვეტა, თუ აღნიშნული არ განეკუთვნება უნივერსიტეტის სხვა ერთეულის უფლებამოსილებას.

ჟ) უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური პერსონალის/მეცნიერი თანამშრომლის მიერ წარდგენილი საკვლევი თემატიკის პროექტის განხილვა. საკვლევი თემატიკის პროექტის მიღებისთანავე, ინსტიტუტი ქმნის ექსპერტთა ჯგუფს მინიმუმ 3 პირის მონაწილეობით, რომელიც განიხილავს აღნიშნულ პროექტს. ექსპერტთა ჯგუფში - 1 წევრი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია, ხოლო დანარჩენი წევრები - მოწვეული პირები. საკვლევი თემატიკის პროექტის განხილვა ხდება პროექტის ავტორის მონაწილეობის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში - ინსტიტუტი ქმნის ახალ ექსპერტთა ჯგუფს მინიმუმ 3 პირის მონაწილეობით. ინსტიტუტის დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საკვლევი თემატიკის პროექტი გადაეგზავნება შესაბამისი სკოლის აკადემიურ საბჭოს.

2. ინსტიტუტი ამ დებულებით განსაზღვრული მიზნების/ ამოცანების მისაღწევად და ფუნქციების განსახორციელებლად თანამშრომლობს უნივერსიტეტის სკოლებთან, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან და უნივერსიტეტის სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.

მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის დაქვემდებარებაშია:

ა) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კომისია;

ბ) სამეცნიერო ჟურნალის "კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალი" („Caucasus Journal of Social Sciences“) რედაქცია;

გ) UG ოლიმპიადის ცენტრი

დ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილება

ე) ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება

ვ) ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა განყოფილება

ზ) ბიბლიოთეკა

თ) ეკონომიკის ინსტიტუტი

ი) ინოვაციური სისტემებისა და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი

2. უნივერსიტეტის თითოეული სკოლა უფლებამოსილია შექმნას სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი/ინსტიტუტი (შემდეგში - სამეცნიერო-კვლევითი ერთეული), რომელიც ანგარიშვალდებულია როგორ შესაბამისი სკოლის (სკოლის საბჭოს) ან/და ინსტიტუტის წინაშე. შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას შეიმუშავებს/ამტკიცებს შესაბამისი სკოლის საბჭო.

3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები ანგარიშვალდებულნი არიან:

ა) ინსტიტუტის წინაშე

ბ) ინსტიტუტისა და სკოლის წინაშე ერთობლივად

მუხლი 5. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და მართვა

1. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებას და რომელზეც რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ცალკეული ფუნქციის დელეგირება.

2. ინსტიტუტის დირექტორს ჰყავს მოადგილე(ები), რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორის ან/და ინსტიტუტის დირექტორის მიერ განსაზღვრულ/დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

3. ინსტიტუტის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

4. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ინსტიტუტის საქმიანობას და პასუხისმგებელია ინსტიტუტზე დაკისრებული მიზნების მიღწევაზე, ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის მონაწილეობას სამეცნიერო და საგრანტო პროექტებში;

გ) ქმნის საუნივერსიტეტო აკადემიური ჟურნალების რედაქციას;

დ) კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს უნივერსიტეტის ერთეულებში (სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, სკოლები და სხვა) მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით პროცესს;

ე) ქმნის კომისიებს/სამუშაო ჯგუფებს უნივერსიტეტის ერთეულებიდან (სკოლები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და სხვა) წარმოდგენილი საკვლევო პრობლემატიკისა და

პროექტების განსახილველად, ასევე თემატურ ჯგუფებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სხვადასხვა საკითხების განსახილველად;

ვ) ისმენს/იხილავს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების/ინსტიტუტების ყოველწლიურ ანგარიშს განხორციელებული საქმიანობისა და შედეგების თაობაზე;

ზ) უნივერსიტეტის რექტორს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს ინსტიტუტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

თ) წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობებში, ასევე უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, სკოლებთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;

ი) ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორის დავალებებს.

5. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად.

6. ინსტიტუტის/სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თანამშრომლები ექვემდებარებიან ატესტაციას. ატესტაციასთან დაკავშირებული საკითხებს აწესრიგებს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულება.

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დაფინანსების განსაზღვრა

1. ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაწილდება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად და მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და შიდა გრანტების დაფინანსებას; აღნიშნული გულისხმობს კონფერენციების ორგანიზების დაფინანსებას, კონფერენციებში მონაწილე პირების დაფინანსებას, სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნების დაფინანსებას, მივლინებებში მონაწილე პერსონალის დაფინანსებას, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებას და სხვ.

მუხლი 7. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა განყოფილება

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა განყოფილების ფუნქციაა შესაბამისი მიმართულებით წარმოებული სამეცნიერო კვლევების კოორდინირება.

მუხლი 8. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება

ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების ფუნქციაა შესაბამისი მიმართულებით წარმოებული სამეცნიერო კვლევების კოორდინირება.

მუხლი 9. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილება

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილების ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ჩართულობის ზრდას სამეცნიერო-კვლევით სფეროში, ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებას, არსებული კავშირების გამყარებას და ახალი კონტაქტების ჩამოყალიბებას;

ბ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონსოლიდირება; უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის მუშაობის უზრუნველყოფა;

გ) უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების კოორდინაცია და მიმდინარეობის მონიტორინგი;

დ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირების მობილობის ხელშეწყობა/სტიმულირება;

ე) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/პროექტების ეფექტური და შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარების ხელშეწყობა (სამეცნიერო გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების/მეცნიერების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.);

ვ) საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და ადგილობრივი ფონდების მიერ ახალი საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება, უნივერსიტეტში მისი გავრცელება;

ზ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირებისთვის კონსულტაციების გაწევა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადება/განხორციელებისა და დაფინანსების (გრანტების) მოპოვების საკითხებში;

- თ) სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი განხორციელების მიზნით კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან (უცხოური უნივერსიტეტები, სამეცნიერო ფონდები, ბიზნეს-სექტორი და სხვა);
- ი) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისთვის რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტის ბიუჯეტში აკადემიური პერსონალის განვითარებისა და პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების სავარაუდო განაწილების შესახებ;
- კ) უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა;
- ლ) ინსტიტუტის დირექტორის ან/და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

მუხლი 10. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასების კომისია

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კომისიის (ამ მუხლში შემდგომში - „კომისია“) შემადგენლობაში შედიან: უნივერსიტეტის რექტორი, ინსტიტუტის დირექტორი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე(ები), უნივერსიტეტის სკოლების დირექტორები ან/და პროფესორები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, საფინანსო სამსახურის უფროსი, კომისიის მდივანი - ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი და ინსტიტუტის დირექტორის მიერ განსაზღვრული სხვა პირები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

¹ კომისია იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო პუბლიკაციებისათვის პრემიის გაცემისა და ჟურნალის შერჩევის პირობების შესახებ დანართი N1-ის შესაბამისად .

2. კომისიას თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში- ინსტიტუტის დირექტორი.

3. უნივერსიტეტის სკოლის დირექტორი უფლებამოსილია სხდომაზე არყოფნის ან ინტერესთა კონფლიქტის დროს სხდომის წევრად წარგზავნოს მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის წარმომადგენელი.

4. კომისიის ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა (საუნივერსიტეტო) დაფინანსებასთან დაკავშირებული პროექტების განხილვა/დამტკიცება;
 - ბ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიერ უნივერსიტეტის დაფინანსების (შიდა გრანტის) მოსაპოვებლად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება (პროექტების რეგისტრაცია, საკონკურსო პირობების განსაზღვრა, კონკურსის/შერჩევის ეტაპების ჩატარების ხელშეწყობა, პროექტების შეფასების ინდიკატორების შემუშავება და სხვა);
 - გ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიერ გარე დაფინანსების (გრანტების) მოპოვების ხელშეწყობა, დაფინანსების მოპოვების საკითხებთან დაკავშირებით, კონსულტაციების გაწევა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირებისთვის;
 - დ) ინსტიტუტის დირექტორის ან/და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სხვა ფუნქციები.
5. უნივერსიტეტის სკოლა კომისიას ყოველწლიურად დაფინანსების მიღების მიზნით წარუდგენს სამეცნიერო-კვლევით პროექტს. პროექტის დაფინანსების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისია ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს. დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილება წარედგინება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და აისახება უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 11. სამეცნიერო ჟურნალის რედაქცია

1. კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალი მიზნად ისახავს გამოაქვეყნოს ორიგინალი კვლევები, შეფასებები, სტატიები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც კავკასიის მკვიდრთათვის, ასევე კავკასიის რეგიონით დაინტერესებულ პირთათვის.
2. ჟურნალში ქვეყნდება შემდეგი თემატიკის საკითხები: ანთროპოლოგია, არქეოლოგია, განათლება, გეოგრაფია, ისტორია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, ლინგვისტიკა, პოლიტიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია. სხვა თემატიკის სტატიები განიხილება ჟურნალის მიმართულელებასთან შესატყვისობის მიხედვით.

მუხლი 12. UG ოლიმპიადის ცენტრი

UG ოლიმპიადის ცენტრის მიზანია სკოლის მოსწავლეების წახალისებისა და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენის მიზნით სხვადასხვა დისციპლინებში ოლიმპიადების ჩატარების ორგანიზება.

მუხლი 13. ბიბლიოთეკა

1. ბიბლიოთეკა წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომლის ძირითადი ამოცანებია:

- ა) უნივერსიტეტის საინფორმაციო-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) ბიბლიოთეკის ფონდის ფორმირება, მათი აღრიცხვა, შევსება, დაცვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების და მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად;
- გ) საინფორმაციო-საცნობარო კატალოგების, მონაცემთა ბაზების შექმნა და დამუშავება;
- დ) ბიბლიოთეკებთან საქმიანობის კოორდინაცია, ბიბლიოთეკათა შორის გაცვლითი ფონდის შექმნა და მართვა;
- ე) მომხმარებელთა მომსახურება, როგორც ადგილზე საბიბლიოთეკო დოკუმენტის გაცემით, ისე ასლის გადაღების გზით, მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მოძიების მეთოდების გაცნობა;
- ვ) საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული მომსახურებაზე მეთოდური სამუშაოების ჩატარება;
- ზ) უნივერსიტეტში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების ფონდის შექმნა, შრომების ბიბლიოგრაფირება, დაცვა;
- თ) ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 14. ეკონომიკის ინსტიტუტი

1. ინსტიტუტის მიზანია ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელი გამოკვლევების განხორციელება, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება, კვლევების საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში განთავსება, უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი რეიტინგის ამაღლება და უნივერსიტეტში სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა ეკონომიკის მიმართულებით.

2. ინსტიტუტი:

- ა) ახორციელებს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევებს ეკონომიკის დარგში;
- ბ) ახდენს სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის კონცენტრაციას ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემატიკაზე;

გ) ამუშავებს ეკონომიკურ კონცეფციებს, პროგნოზებს, ინდექსებს, პროექტებს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გზით;

დ) შეიმუშავებს მეცნიერულად დასაბუთებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის;

ე) თანამშრომლობს საქართველოს და საზღვარგარეთის შესაბამის სამთავრობო, არასამთავრობო, სამეცნიერო, სასწავლო და სხვა სახის დაწესებულებებთან;

ვ) მეცნიერული მუშაობის გააქტიურების მიზნით უნივერსიტეტში აწყობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სესიებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს, განხილვებსა და კონსულტაციებს;

ზ) ადგენს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმას და აწარმოებს სამეცნიერო გამოკვლევებს როგორც უნივერსიტეტის დაკვეთის მიხედვით, ისე სახელშეკრულებო საფუძველზე;

თ) ზრუნავს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართვაზე სამეცნიერო კვლევებში.

მუხლი 15. ინოვაციური სისტემებისა და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი

1. ინოვაციური სისტემებისა და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მიზანია ინოვაციური სისტემების, ტექნოლოგიების, მეთოდოლოგიების მოძიება, კვლევა, სწავლება და საზოგადოების სხვადასხვა სფეროში იმპლემენტაციის ხელშეწყობა. ინერდისციპლინარული პროექტების დაგეგმვა-განხორციელება სტრატეგიული კვლევების მიმართულებით.

2. ინოვაციური სისტემებისა და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ამოცანებია:

ა) საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და კვლევების წარმოება

ბ) ცოდნის ტრანსფერი და სამოდულო პროექტები განვითარება

გ) საგანმანათლებლო საქმიანობა